პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

სამშაბათი, 19 ივლისი, 1949 წ. № 142 (8445). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიის რაიკომი და მისი გაზეთი — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. სტალინის მისალმება ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხნის „კრასნოე სორმოვოს“ კოლექტივისადმი (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე მოსკოვში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
ბ. ლენინი — ლიტოსნსხვულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის (მე-2 გვერდი).
სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობარის“ საბჭოში (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
შ. ღონღაძე — მეტი ყურადღება წიგნის გავრცელებას (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პარტიის რაიკომი და მისი გაზეთი

ამჟამად, როცა მთელი საბჭოთა ხალხი შეუპოვრად იბრძვის ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, უმაგალითოდ გაზრდილია ბოლშევიკური პრესის, პირველ რიგში გაზეთების როლი.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხს და განსაზღვრა ამ საქმეში პრესის, კერძოდ რაიონული გაზეთების ამოცანები.

ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიისა და მთავრობის მითითებათა განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში რაიონული გაზეთი თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუ დაუღალავად და საქმის ცოდნით გააჩაღებს ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, სათავეში ჩაუდგება მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეს, გულდასმით გააცნობს გლეხობას პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, მოაწყობს მოწინავეთა გამოცდილების ფართო პოპულარიზაციას, იქნება სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი და ყოველმხრივ შეუწყობს ხელს კოლმეურნეობათა სამეურნეო-პოლიტიკურ განმტკიცებას.

იმის მთავარი პირობა, რომ რაიონული გაზეთი მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, ასრულებდეს ნამდვილი კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის მოვალეობას, საჭიროა მის მუშაობას ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ და ნაყოფიერად წარმართავდნენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები.

ჯერ კიდევ 1940 წლის აგვისტოში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „რაიონული გაზეთების შესახებ“ აღნიშნა, რომ პარტიის რაიკომების პირველმა მდივნებმა პირადად უნდა უხელმძღვანელონ თავიანთ გაზეთს, წარმართონ მათი მუშაობა სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდია რაიონული გაზეთები, რომლებმაც სწორად გაიგეს მათ წინაშე მდგომი ამოცანები და რაიონის მთელ მოსახლეობას რაზმავენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა განუხრელად შესრულებისათვის.

პარტიის მახარაძის რაიკომი უნარიანად ხელმძღვანელობს თავის გაზეთს. სისტემატურად ამოწმებს და ეხმარება მუშაობაში, ეთათბირება რედაქციის მუშაკებს, აძლევს რჩევას და მხარს უჭერს გაზეთის ინიციატივას. ამიტომ არის, რომ მისი ორგანო „ლენინის დროშა“ დაუღალავად და საქმის სიყვარულით ეხმაურება საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ყველა საჭირბოროტო საკითხს, აღვივებს გლეხობაში საკოლმეურნეო საქმისადმი სიყვარულს, მტკიცედ უდგას სათავეში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლას.

ტყვარჩელელ მეშახტეთა გაზეთი „ტყვარჩელის მაღაროელი“ განუხრელად იბრძვის საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. გაზეთი თანმიმდევრულად და შინაარსიანად ეწევა წარმოების მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას, ცოცხლად და საინტერესოდ აშუქებს საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, სათავეში უდგას საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების და წარმოების კულტურის დანერგვისათვის ბრძოლას. ამ გაზეთის მუშაობის ნაყოფიერად წარმართვაში ნათლად იგრძნობა პარტიის საქალაქო კომიტეტის მზრუნველი ხელი.

კარგად მუშაობენ აგრეთვე ზუგდიდის, ქლუხორის, თბილისის, გორის, ქობულეთის, წითელწყაროს რაიონული გაზეთები. აღნიშნული გაზეთების საქმიანობას კარგად ხელმძღვანელობენ პარტიის რაიონული კომიტეტები.

მაგრამ ასე როდი ითქმის ზოგიერთი გაზეთის მუშაობისა და მათდამი პარტიის რაიკომების დახმარების შესახებ.

სუსტად მუშაობს მაიაკოვსკის რაიონული გაზეთი „კოლექტიური შეტევა“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების დიდი უმრავლესობა ფაქტების უბრალო აღრიცხვას წარმოადგენს. საქართველოს ბოლშევიკების მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციისა და განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში გაზეთი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მიმდინარე წლის 2 მარტს დაბეჭდა რაიონის პარტიული აქტივის კრების ანგარიში, მიძღვნილი ყრილობის შედეგებისადმი. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის რაიონის მშრომელთა ამოცანებზე გაზეთს დღემდე არცერთი საქმიანი წერილი არ გამოუქვეყნებია. გაზეთი უგულებელყოფს აგრეთვე რაიონის მოწინავეთა შრომითი ინიციატივის პოპულარიზაციის საქმეს.

გაზეთმა 21 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მიმართვა რაიონის ყველა მშრომელისადმი სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების განვითარებისა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ლონისძიებებზე. თუ გაზეთს დავუჯერებთ, მიმართვას რაიონში არავინ გამოხმაურებია, რადგან ამ საკითხზე გაზეთს არც ერთი წერილი არ დაუბეჭდავს. გაზეთში სრულებით ვერ ნახავთ პარტიის რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკის წერილს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის წერილს გაზეთის მეათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით.

გაზეთ „კოლექტიური შეტევის“ მუშაობის ეს ნაკლოვანება მკაფიოდ მოწმობს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომი სათანადოდ არ ხელმძღვანელობს თავის გაზეთს.

რაიონული გაზეთებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის მაგალითები სხვაგანაც არის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“ და „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საშუალიანი გეგმის (1949-1951 წ. წ.)“ შესახებ რაიონულ გაზეთებს ახალი, სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებენ. ახლა რაიონული გაზეთების უპირველესი მოვალეობაა ყოველ კოლმეურნეს, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის თვითეულ მუშაკს დაბეჯითებით გააცნონ პარტიისა და მთავრობის აღნიშნულ დადგენილებათა ისტორიული მნიშვნელობა და გააჩაღონ ფართო მასობრივ-საგიტაციო მუშაობა მთავრობის ამ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განაღდებისათვის, იბრძოლონ უხვი მოსავლის მიღებისა და საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ საპატიო ამოცანებს გაზეთი პირნათლად მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ პარტიის რაიკომი განუხრელად იბრძოლებს გაზეთის როლისა და ავტორიტეტის ზრდისათვის, გულისხმიერად უხელმძღვანელებს და დაეხმარება მას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში 1948 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემაჯამებელ რესპუბლიკურ კომისიაში

რესპუბლიკურმა კომისიამ, განიხილა რა სოფლის მეურნეობაში დავალებათა შესრულებისა და 1948 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის საქართველოს სსრ რაიონების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის დავალებათა შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო შემდეგი რაიონები, მსტ-ები და საბჭოთა მეურნეობანი:

ა) მახარაძის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გალის რაიონები, რომელთაც უნდა დარჩეთ 1947 წლის მაჩვენებლებისათვის მიღებული საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები;

ბ) თელეთის, ზუგდიდის, ახმეტისა და აბაშის მტს-ები, რომელთაც უნდა გადაეცეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები;

გ) ოჩხამურის სტალინის სახელობისა და ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის, ურეკის ლიმონ-მანდარინის, არგვეთის ლ. პ. ბერიას სახელობისა და წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც უნდა გადაეცეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები.

რესპუბლიკურმა კომისიამ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესასრულებლად და 1948 წელს მოსავლიანობის გასადიდებლად კარგად იმუშავეს აბაშის, ბათუმის, გაგრის, გორის, გუდაუთის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ქედის, ქობულეთის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მარნეულის, ორჯონიკიძის, ოჩამჩირის, ფოთის, სტალინირის, თბილისის, თეთრი წყაროს, ხობის, ხულოს, წალენჯიხის, წითელწყაროს, ცხაკაიას და ჩოხატაურის რაიონებმა.

ქალაქი გორკი

ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვო“

ქარხნის დირექტორს ამხანაგ რუბინჩიკს
მთავარ ინჟინერს ამხანაგ მარკუშევს
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგს ამხანაგ კოზინს
საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკონოვს
საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგს ამხანაგ ბარკოვას

ვულოცავ მუშათა, ოსტატთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კოლექტივს სორმოვოს ქარხნის დაარსების 100 წლისთავს და ლენინის ორდენით ქარხნის დაჯილდოებას.

თავისი რევოლუციური ტრადიციებისადმი ერთგულმა სორმოველთა კოლექტივმა თავდადებული შრომით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ომისშემდგომი ხუთწლედის შესრულებაში, მოაწყო რა სამდინარო გემების ჩქარი მეთოდით მშენებლობა.

გისურვებთ, ამხანაგო სორმოველებო, შემდგომ წარმატებას თქვენს მუშაობაში ჩვენი ქვეყნის წყალთა და რკინიგზის ტრანსპორტის გემებითა და ორთქლმავლებით აღჭურვისათვის.

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ა. ა. ჟდანოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი, სამამულო ომის I ხარისხის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე დამსახურებისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 16 ივლისი.

ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი დ. კელი

18 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი დ. ვ. კელი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი. (საკდესი).

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი

დაჯილდოებული არიან მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც 25 წელზე მეტი ხანია უმნიკვლოდ მუშაობენ სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოში“

სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ა. ა. ჟდანოვის სახელობის „კრასნოე სორმოვოში“ ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის და ქარხნის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 16 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის მედლებით დაჯილდოებულია ამ ქარხნის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია 464 კაცი, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 628 კაცი. (საკდესი).

მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 16 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ქარხნის მუშაკთა დიდი ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან ვ. ა. ვოდოპიანოვი — მეფოლადე, პ. ა. ზალომოვი — ერთ-ერთი უაღრესად აქტიური მონაწილე რევოლუციური მოძრაობისა სორმოვოში, მ. გორკის რომანის „დედის“ გმირი, ვ. მ. კერჩევი — ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი, ა. ნ. კრუტოვა — გადამხვევი, პ. პ. მარკუშევი — ქარხნის მთავარი ინჟინერი, ი. ვ. მოჩალოვი — საამქროს უფროსი, ხ. ზ. რუბინჩიკი — ქარხნის დირექტორი, ა. ფ. რიანოვი — ხარატი, ა. ი. ხრამუშევი — ბრიგადირი და სხვები, სულ 26 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 124 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით — 4 კაცი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით — 255 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 58 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 38 კაცი. (საკდესი).

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე მოსკოვში
დღესასწაული ჯუშინოს აეროდრომზე

17 ივლისს ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დილიდანვე მზიანი ამინდი იდგა. ახიათასობით მშრომელნი, ბევრნი მთელი ოჯახებით, გაემართნენ ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომზე. ყველა სახის ტრანსპორტი — საგარეუბნო მატარებლები, მეტრო, ტრამვაი, ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტაქსები, მსუბუქი ავტომანქანები — რომლებიც ტუშინოს მიმართულებით მიდიოდნენ, ამ დილით გაჭედილები იყო. მიდიოდნენ ადამიანები, რომლებსაც სურდათ ენახათ ჩვენი ავიაციის ახალი შესანიშნავი წარმატებანი, ხალხის ხაყვარული მფრინავების ოსტატობა.

დღის 12 საათისათვის აეროდრომი და მის ახლო მდებარე უბნები ლამაზ სურათს წარმოადგენდა. მრავალათასიანი ხალხის მასა მორთული იყო სადღესასწაულოდ. ვეებერთელა მოედანზე მხიარული ხალხის განუწყვეტელი ერიამული იდგა.

დამსწრენი მქუხარე, აღფრთოვანებული ოვაციით მიესალმნენ მთავრობის ლოჟაში ამხანაგ ი. ბ. სტალინის, ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვის, ა. ი. მიქოიანის, ა. ა. ანდრეევის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ნ. მ. შვერნიკის, ნ. ა. ბულგანინის, მ. ა. სუსლოვის, პ. კ. პონომარენკოს, გ. მ. პოპოვის, მ. თ. შკირიატოვის, საბჭოთა კავშირის მარშლის ა. მ. ვასილევსკის, საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. დ. სოკოლოვსკის, ავიაციის მარშლის კ. ა. ვერშინინის, არმიის გენერალ ს. მ. შტემენკოს, ადმირალ ი. ს. იუმაშევის გამოჩენას.

12 საათია. ფანფარები საზეიმოდ იუწყებიან ტრადიციული დღესასწაულის დასაწყისს. მრავალმეტრიან ანძაზე აფრიალდა სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების ალამი. ასი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპი არეყვეს ჰაერს. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

აეროდრომს გადაუქროლეს მედროშე თვითმფრინავებმა. პირველ მათგანს მოაქვს წითელი დროშა დიდი სტალინის პორტრეტით, შემდეგ მოდიან მანქანები 16 მოკავშირე რესპუბლიკის დროშებით.

ჰორიზონტზე გამოჩნდება ჯერ ოდნავ შესამჩნევი წერტილები, შემდეგ ისინი უფრო მკაფიო ხდებიან და ცაზე დაიწერება სიტყვები „დიდება სტალინს“. 100 თვითმფრინავმა „იაკ-18“, რომლებსაც ავიაციის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენი-მფრინავები მართავენ, ყველანი გააოცეს განსაკუთრებით ზუსტი მწყობრით, როცა ცის ფონზე დაწერეს მისალმებისა და სიყვარულის ეს სიტყვები იმ ადამიანისადმი, ვინც აღზარდა გმირი შევარდნები, შექმნა მძლავრი საბჭოთა ავიაცია.

დღესასწაულის პირველი განყოფილება იწყება ავიაციის ხელმემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მფრინავთა მიღწევების ჩვენებით. დამსწრეთა აღფრთოვანებული შეძახილები და მქუხარე ტაში გამოიწვიეს სპორტსმენებმა, რომლებმაც თავიანთი მანქანებით გვიჩვენეს უმაღლესი პილოტაჟის ფიგურები. წითელფრთიან თვითმფრინავთა ხუთეულის შემდეგ, რომლებიც მოჰყავთ ჩკალოვის სახელობის კლუბის აღზრდილ ქალებს, აეროდრომს მწყობრით უახლოვდება 24 მანქანა „იაკ-18“. მათ შეასრულეს მთელი რიგი უაღრესად რთული ნომრები და ადგილი დაუთმეს ოთხეულს „პო-2“, რომლებსაც ბუქსირით მოყავთ პლანერები. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს უძველესი პლანერისტი რაცენსკაია. სპორტსმენები დიდი ოსტატობით იმეორებენ თავიანთი უხმო საფრენი აპარატებით ყოველივე იმას, რაც ცოტა ხნის წინ ცაში შეასრულეს მოტორიანმა თვითმფრინავებმა. საყოველთაო აღტაცება გამოიწვია კონსტრუქტორ-მოყვარულის ბ. ი. ჩერანოვსკის მიერ შექმნილმა უკუდო პლანერმა.

ცაში არიან ნამხედრო მფრინავები ისინი იწყებენ დღესასწაულის მეორე განყოფილებას. სწრაფად გადაიქროლეს რეაქტიულმა თვითმფრინავებმა და მაყურებელთა ახალი აღტაცება გამოიწვიეს.

ისევე სწრაფად, როგორც გამოჩნდა, ასევე სწრაფად გაჰქრა ლავოჩკინის კონსტრუქციის ავიაგამანადგურებელი, რომელსაც მაიორი ე. გ. პეპელაევი მართავს.

ყველას ყურადღება მიიპყრო ავიაგამანადგურებელთა რგოლმა კაპიტან ა. ი. ბაბაევის მეთაურობით. ვერც ერთმა დამსწრემ ვერ დაფარა თავისი აღტაცება მისი შესანიშნავი პიკირების გამო.

გამოჩნდა ბ. ი. მიქოიანის კონსტრუქციის თვითმფრინავთა ახალი ხუთეული. განსაკუთრებით მკაფიო მწყობრი მანქანებისა, რომლებიც მოყავს საბჭოთა კავშირის გმირს პოლკოვნიკ პ. ფ. ჩუტიკოვს, ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ ხუთ თვითმფრინავს ერთი უნარიანი ხელი მართავს.

აეროდრომის თავზეა იაკოვლევის კონსტრუქციის 9 თვითმფრინავი. მფრინავებმა ჯგუფურ პილოტაჟში ცხადყვეს რეაქტიული თვითმფრინავების ურთულესი ტექნიკის დაუფლების მაღალი ოსტატობა. დამსწრენი სულით და გულით მიესალმებიან სტალინურ შევარდნებს.

ერთი წამით აეროდრომზე ხიჩუმე ჩამოვარდა. უცბად ჰაერში ოთხი ავიაგამანადგურებელი გამოჩნდა... ატყდა საზენიტო ქვემეხების სროლა... მოდიან „მოწინააღმდეგის“ ბომბდამშენები. ერთ-ერთი მათგანი დაზიანდა, ხშირი კვამლის ზოლს ტოვებს ცაში და ძირს ეშვება. მას მიჰყვება მეორე, მესამე... „საჰაერო ბრძოლის“ დემონსტრაცია დამთავრდა.

კელავ დაწყნარებულ მოედანს თავს გადაუარეს ტუპოლევის კონსტრუქციის ოთხმოტორიანმა თვითმფრინავებმა, იმავე კონსტრუქტორის ორმოტორიანმა მანქანებმა. კოლონის ბოლოში არიან „ილიუშინის“ მოიერიშეები. შემდეგ დამსწრეებს თავს გადაუფრინეს ჯგუფჯგუფად რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა.

ხადღესასწაულო პროგრამის მეხამე განყოფილება მიეძღვნა პარაშუტიზმს, ჩვენს ქვეყანაში სპორტის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ სახეს. 800 მეტრის სიმაღლეზე მიმავალი თვითმფრინავთა რგოლი გაუსწორდა აეროდრომს და გაოცებულ დამსწრეთა თვალწინ ყირაზე გადატრიალდა. ერთი წამის შემდეგ მანქანას ერთიმეორის მიყოლებით მოწყდა წერტილები და მხოლოდ მიწაზე დაშვების წინ გაიშალა პარაშუტები.

სამხრეთ-დასავლეთიდან გამოჩნდნენ ვერცხლისფერი სატრანსპორტო თვითმფრინავები. ისინი უჩვენებენ მასობრივ-საპარაშუტო დესანტს. მოდიან მანქანები და ჰაერში ტოვებენ გაშლილი დიდი ქოლგების ჯგუფებს. ისინი ჰქმნიან რამდენიმე იარუსს, თვითეულ მათგანს აქვს თავისი ფერი: წითელი, ლურჯი, მწვანე...

საჰაერო პარადს, რომელმაც წარუშალელი შთაბეჭდილება დატოვა დამსწრეებზე, ამთავრებენ ზესწრაფი თვითმფრინავები. თვალი ვერ ასწრებს მათ ფრენას, მოტორების გუგუნი ბევრად ჩამორჩება გაფრენილ მანქანებს, ვიფრინოთ ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს და ყველაზე სწრაფად — ეს სტალინური მითითება წარმატებით ხორციელდება.

დღესასწაული ტუშინოში დამაჯერებელი დემონსტრაცია იყო ჩვენი ქვეყნის მზარდი საჰაერო ძლიერებისა, რაც განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და ხალხის დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელთან. საბჭოთა კონსტრუქტორები, ახალი მანქანების მშენებლები, მაღალი კლასის პილოტაჟის ოსტატები დღეს ანგარიშს აბარებდნენ თავიანთ სამშობლოს, პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ავიაციის შემდგომი განვითარების დარგში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ხულოს რაიკომმა უნდა გარდაქმნას მუშაობა

ხულოს რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გააუმჯობესეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. პირველად ორგანიზაციებთან რაიონში შეიქმნა ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებისა და სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლებისა და საკავშირო ალკა წესდების შემსწავლელი წრეები, აგრეთვე რამდენიმე დაწყებითი ტიპის პოლიტსკოლა. მათში გაერთიანებული იყო 580 კომკავშირელი. ნაწილი კომკავშირელებისა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით იმაღლებს იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა ხულოს რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას ახალგაზრდობის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს.

კომკავშირის რაიკომი (მდივანი მ. ბოლქვაძე) ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმეს ფორმალურად მოეკიდა, ვერ უზრუნველყო წრეებისა და პოლიტსკოლების შესაფერისი პროპაგანდისტებით დაკომპლექტება. არასაკმაო მუშაობით უნდა აიხსნას ის, რომ 731 კომკავშირელი პოლიტიკური სწავლების გარეშეა დარჩენილი, მათთან რამდენჯერმე ჩატარებული საუბრები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები საკმარისი არ არის.

სოფელ გელაურის კომკავშირის საკოლმეურნეო პირველად ორგანიზაციასთან შექმნილმა პოლიტსკოლამ შარშან დეკემბერში დაიწყო მუშაობა. აქ ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს, პროპაგანდისტი ო. ძაგნიძე ზოგჯერ თვით არ ცხადდებოდა მეცადინეობაზე. ბუნებრივია, რომ წრემ ასეთ ვითარებაში ვერ ამოწურა პროგრამით გათვალისწინებული მასალა. სოფელ ცინარეთის საკოლმეურნეო პირველად ორგანიზაციასთან შეიქმნა ლენინის და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე, მაგრამ კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვერ უზრუნველყო მეცადინეობაზე მსმენელების დასწრება და მუშაობა ჩაიშალა.

კომკავშირის რაიკომს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცების საქმეშიც. რაიკომი სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს პირველად ორგანიზაციებს, რაიკომის მუშაკები ნაკლებად დადიან ორგანიზაციებში, ხოლო, როცა მივლენ, არავითარ დახმარებას არ უწევენ მათ.

სოფელ მეკეიძეების მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველად ორგანიზაციაში მოუწესრიგებელია კომკავშირული მეურნეობა, კომკავშირელები აქტიურად არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში. თვით კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს ტ. ვანაძეს 6 თვეში მხოლოდ 26 შრომადღე აქვს გამომუშავებული. სოფელ ადაძეების საკოლმეურნეო ორგანიზაციის მუშაობა (მდივანი ა. ირემაძე) სრულიად ჩაშლილია. აქ ისე ცუდად ფორმდება ოქმები, რომ ძნელია იმის გაგება, თუ რა საკითხი განიხილეს.

ცუდად არის დაყენებული რაიონში კომკავშირის რიგების ზრდის საქმე. რაიონში არსებულ 154 პირველად ორგანიზაციას მიმდინარე წლის განმავლობაში კომკავშირის რიგებში მხოლოდ 198 ახალგაზრდა ჰყავს მიღებული.

ახალგაზრდობაში უდიდეს ინტერესს იწვევს ლექციები, რომლებიც მიძღვნილია ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, ბოლშევიკური პარტიის ისტორიისადმი. თუ რაიკომში არსებულ აღრიცხვას დავუჯერებთ, მიმდინარე წელს რაიონის ახალგაზრდობისათვის ჩატარებულია 113 ლექცია, მოხსენება და საუბარი, მაგრამ მთელ რიგ ორგანიზაციებში ლექციების ჩატარების არავითარი აღრიცხვა არ მოიპოვება. ახალგაზრდობას შორის ცუდად დგას მიჩურინისა და ლისენკოს აგრობიოლოგიური მოძღვრების პროპაგანდა, ამ საკითხზე ახალგაზრდებს არც ერთი ლექცია ან საუბარი არ მოუსმენიათ.

რაიკომთან შექმნილია მომხსენებელთა ჯგუფი. ახალგაზრდობაში პოპულარობით სარგებლობენ მომხსენებლები ი. გოგიტიძე და ა. ჯაყელი, ისინი კარგად ემზადებიან ლექციებისათვის და ახალგაზრდობას გასაგები ენით მოუთხრობენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმზე, შემოქმედებით ენთუზიაზმსა და საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკაზე; მაგრამ ყველა მომხსენებელზე ასე როდი ითქმის. ხ. ჯაყელს, თ. აბულაძეს, ზ. შავაძეს (კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე), ზ. თავართქილაძეს და ხ. აბულაძეს 7 თვის განმავლობაში არც-ერთი ლექცია და საუბარი არ მოუმზადებიათ. რაიკომის ბიუროს კი დაგვიანებით გახადა ეს საკითხი მსჯელობის საგნად.

კომკავშირის რაიკომი პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე ხშირად იხილავს ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, სააგიტაციო, ფიზიკულტურული მუშაობის გაშლისა და სხვა აქტუალურ საკითხებს, მაგრამ არც ერთხელ არ მოუხდენია მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმება. რაიკომი სრულიად არ ამოწმებს აგრეთვე პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებში საქართველოს ალკა XVII ყრილობისა და საკავშირო ალკა XI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიმდინარეობას.

პარტიის ხულოს რაიკომის ბიუროს მიმდინარე წელს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის საკითხები 23-ჯერ აქვს განხილული, გამოაქვთ საქმიანი დადგენილებანი, მაგრამ იმის გამო, რომ ბოლომდე ვერ მიჰყვებიან დასახული ღონისძიებების განხორციელებას, ისინი ქმედითი არ არიან.

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე თავის მოხსენებაში ამხ. კ. ჩარკვიანმა თქვა: „პარტიულ ორგანიზაციებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მოზარდ თაობაში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენებისათვის. სწორედ ამიტომ საჭიროა სისტემატურად ვიმუშაოთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე, რომლებიც მოწოდებული არიან აღზარდონ საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნისტური სულისკვეთებით“.

ამ მითითებიდან სათანადო დასკვნები უნდა გაკეთოს პარტიის ხულოს რაიკომმა და გადაჭრით გააძლიეროს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება.

ე. მამალაძე

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

„სკოლის დღე“ ბათუმის რაიონში

ახალი სასწავლო წლისათვის ენერგიულად ემზადებიან აჭარის ასსრ ხულოსა და ბათუმის რაიონებში. ამას წინათ მოეწყო ხულოს რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და სკოლების გამგეებისა და დირექტორების რაიონული თათბირი, რომელზეც 1949-1950 სასწავლო წლისათვის მზადების საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი ამხ. ა. ბერიძე. თათბირზე დაისახა ღონისძიებანი რაიონის სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

დროულად დაიწყეს მზადება ბათუმის რაიონის სკოლებშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ჩაისუბნის სკოლების ინიციატივა. ამ სოფლის დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლები თითქმის მზად არის ახალი სასწავლო წლისათვის. შეკეთებულია სასკოლო ოთახები, ინვენტარი, მოზიდულია შეშა, ძირითადად დაკომპლექტებულია კლასები და სხვ. ამას წინათ ბათუმის რაიონში მოეწყო „სკოლის დღე“, რის შესახებ გაზეთი „საბჭოთა აჭარა წერს:

„სკოლის დღეს“ 2.864 კოლმეურნე გამოვიდა, რომლებმაც სასკოლო სამუშაოების შესასრულებლად გამოიყვანეს 45 ავტომანქანა და 15 ურემი. დღის განმავლობაში კოლმეურნეებმა დაამზადეს და სკოლის ეზოში მიზიდეს 269 კუბური მეტრი შეშა, შეაკეთეს და წესრიგში მოიყვანეს 390 მერხი, 498 სკამი, 87 მაგიდა, 39 დაფა, 22 განჯინა, მიმდინარე რემონტი გაუკეთეს ერთ საშუალო, 11 რვაწლიან და 19 დაწყებითი სკოლას, გაწმინდეს და შემოღობეს სკოლის ეზოები. „სკოლის დღე“ ორგანიზებულად ჩატარდა მახინჯაურში, ქვედა ახალშენში, ურეხსა და ფერიაში.

ბათუმის რაიონის სოფლებში ანგისში, ადლიეასა და თალტაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დამატებითი საკლასო ოთახების მშენებლობა. შენდება და ახალი სასწავლო წლისათვის მზად იქნება ურეხის, ხელვაჩაურისა და აჭარისწყლის დაწყებითი სკოლების ახალი შენობები. ხოლო ჩაისუბანში, მახინჯაურსა და აჭარისაღმართში მასწავლებელთათვის აგებენ საცხოვრებელ სახლებს“.

„საკუთარი ძალებით“

ამ სათაურით მოათავსა გაზეთმა „მეტალურგიისათვის“ წერილი რუსთავის №13 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის შესახებ. ამ სკოლაში აღსაზრდელებს მზრუნველობით უვლიან და გულმოდგინედ ასწავლიან ხელობას, მაღალკვალიფიციური ოსტატები გადასცემენ მათ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, ამზადებენ საქართველოს შავი მეტალურგიის ახალგაზრდა მშენებლებს.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლა სანიმუშოდ არის მოწყობილი. მის კეთილმოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა.

„მოსწავლეები, — წერს გაზეთი „მეტალურგიისათვის“, — თავიანთი ცოდნისა და დახელოვნების განუხრელ ამაღლებასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ სკოლის კეთილმოწყობას. მათ საკუთარი ძალებით საერთო საცხოვრებლისათვის დაამზადეს მაგიდები, სკამები, მოაწყეს აბანო, შემოღობეს სასკოლო ეზო, გამართეს სასპორტო მოედანი.

ამჟამად სკოლაში 264 მოსწავლე სწავლობს. მალე ყველა ისინი მიაშურებენ ქარხნებს, დადგებიან დაზგებსა და აგრეგატებთან, შეუდგებიან შრომას“.

ლითონსხმულის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

ჩვენი დედაქალაქის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა კოლექტივები ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ებრძოლნენ პირველ რიგებში დგანან. მიუხედავად იმისა, რომ წელს მათ ბევრად უფრო გადიდებული გეგმა აქვთ, ვიდრე მარშან, ისინი დავალებებს წარმატებით ასრულებენ.

წარმატებათა მოპოვებას დიდად შეუწყო ხელი ახალი ტექნიკის დანერგვამ, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე გადასვლამ, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ. ამან საშუალება მისცა საწარმოთა კოლექტივებს მნიშვნელოვნად შეემცირებინათ შრომა პროდუქციის ერთეულზე.

ლითონდამმუშავებელ საწარმოთა შორის მოწინავენი არიან კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნები, ქარხანა „დაზგა“, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი, ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხნები და სხვ. ამ საწარმოთა კოლექტივები შეუნელებლივ აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მათ შეძლეს ახალი, რთული, უზუსტესად მომუშავე მანქანების, დაზგებისა და ხელსაწყოების ათვისება და წარმატებით ასრულებენ გეგმებს. ამ მიღწევებში მცირე როლი როდი ეკუთვნით დამამზადებელ საამქროებში, უპირველეს ყოვლისა თუჯსამსხმელო საამქროებში მომუშავეებს.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ლითონსამსხმელო საამქროში მუშაობს მეყალიბე ი. მირზოევი, რომელიც თავის საქმეს შესანიშნავად არის დაუფლებული. მან იცის ლითონის დაყალიბების ტექნოლოგია, უყვარს ეს საქმე და წარმატებასაც აღწევს. ამხ. მირზოევი მუშაობს ერთ-ერთი ტიპის საქსოვი დაზგის საყრდენ ფეხთა დაყალიბებაზე. წინათ ამ ნაწილის დაყალიბებას ორი მეექვსე თანრიგის მეყალიბე ჭირდებოდა. ორივენი დღეში ორ დეტალს იძლეოდნენ. ამხ. მირზოევმა იმდენად გააუმჯობესა ეს საქმე, რომ ახლა მარტო მუშაობს და დღეში ექვს დეტალს ამზადებს. ამას მან მიაღწია სამუშაო პროცესთა რაციონალური მოწყობით და ახალ სამარჯვთა გამოყენებით.

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის ლითონსამსხმელო საამქროში მუშაობს მეყალიბეთა სტახანოვური ბრიგადა თ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, ამხ. ბახტაძისა და გაბროშვილის შემადგენლობით. ეს ბრიგადა ყოველთვიურ დავალებებს სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებს და კარგი ხარისხის სხმულს იძლევა. ამას ბრიგადამ მიაღწია სამუშაო ადგილის კარგად მოწყობის და სპეციალობის ღრმად დაუფლების შედეგად.

შეიძლებოდა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა, მრავალი მოწინავე ლითონმსხმელის დასახელება, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოებს ყველა პირობა აქვთ უკეთ იმუშაონ, უკეთესი ხარისხის ლითონსხმული გვაძლიონ.

თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოებში ჯერ კიდევ მოიპოვება დიდძალი გამოუყენებელი რეზერვები. ამ გამოუყენებელი შესაძლებლობებით სარგებლობა საწარმოთა კოლექტივებს დიდად გაუადვილებს პროდუქციის მეტი რაოდენობით გამოშვებას, ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას, ხარჯების შემცირებას. თვითეული საწარმოს მუშაობა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ გათვალისწინებულ იქნას არსებული რესურსების უფრო სრულად და ფართოდ გამოყენება, რომ საამქროთა შორის საწარმოო კავშირი უფრო განმტკიცდეს. დამამზადებელი საამქროების მუშობას ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ისეთი დამამზადებელი საამქროების გამართულ მუშაობაზე, როგორიც თუჯსამსხმელო საამქროები არიან, ბევრად, თუ სავსებით არა, დამოკიდებულია მექანიკური და ამწყობი საამქროების მუშაობა. გამოანგარიშებულია, რომ დაზგათმშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებში თუჯის სხმულებისა და დეტალების ხვედრითი წონა სადაზგო პროდუქციაში 50-60 პროცენტს აღწევს. აქედან გასაგებია, თუ რაოდენ დიდ გავლენას მოახდენს საერთო საქარხნო მაჩვენებლებზე დამამზადებელი საამქროების, კერძოდ ლითონსამსხმელო საამქროების შეუფერხებელი მუშაობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები არასაკმაო ყურადღებით ეკიდებიან ამ საამქროების მუშაობას. ამის შედეგი კი ის არის, რომ ლითონსამსხმელო საამქროთა კოლექტივები მთელ რიგ საწარმოებში ვერ მუშაობენ გამართულად, ვერ ასრულებენ გეგმებს და ჩამორჩებიან.

სამსხმელო საამქროთა მუშაობის უმთავრესი ნაკლია ლითონსხმულის დაბალი ხარისხი, წუნი, უხეში გარეგნობა და დიდი მეტნაკლებობა, რაც შემდგომში იწვევს დეტალის შრომატევადობის ზრდას და ლითონის დანაკარგთა გადიდებას.

ისეთ მოწინავე საწარმოში, როგორიცაა 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, თუჯსამსხმელო საამქროში სხმულის წუნმა იანვარ-აპრილში 14-17 პროცენტი შეადგინა, ხოლო დეტალის ჩამოსხმისას წუნმა 50 პროცენტს მიაღწია. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მარტო აპრილში დაწუნებული ლითონსხმულის რაოდენობა 23 პროცენტამდე ავიდა. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის სამსხმელო საამქროში, სადაც ცილინდრული მილის ჩამოსხმა სწარმოებს, წუნდებულმა სხმულმა 29 პროცენტი შეადგინა. მარტო 4 თვის განმავლობაში ამ ქარხნის ლითონსამსხმელო საამქროს კოლექტივმა საწარმოს 60.000 მანეთის ლითონსხმული აზარალა.

ანალოგიური მდგომარეობაა კალინინის სახელობის და ფოლად-თუჯის სამსხმელო ქარხნებსა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

დაწუნებული ლითონსხმულის ანალიზი და თვით სამსხმელო საამქროთა მდგომარეობის შესწავლა ადასტურებს, რომ სამსხმელო საამქროთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზებია: სხმულისაგან ძირითადი, მთავარი დეტალების მისაღებად საჭირო წინასწარ გულდასმით დამუშავებული ტექნოლოგიის უქონლობა, საყალიბე მიწის დაუკვირვებლად დამუშავება, წიდის ცუდად შერჩევა, კაზმის შედგენაში დაუკვირვებლობა, საქარხნო ლაბორატორიების მოუწყობლობა და მთელი რიგი სხვა მიზეზები, რომელთა თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია.

ზოგი საამქრო ისეა მონაგვიანებული, ნარჩენებიდან [illegible] ლებელია იქ სამუშაო [illegible] როვნად მოწესრიგება. [illegible] საკმაო სინათლე, — საჭიროა [illegible] მიყრილ-მოყრილია, სამოდელო ხელსაწყოები უწესრიგოდ აწყვია. ყოველივე ეს ამცირებს მეყალიბეთა შრომის ნაყოფიერებას, იწვევს სხმულის ხარისხის გაუარესებას.

სამსხმელო საამქროები დაკომპლექტებული არ არიან კვალიფიციური ინჟინერ - ტექნიკოსებით, არადამაკმაყოფილებად არის მოწყობილი ტექნიკური სწავლება, არ იგრძნობა საამქროთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა. ამას ისიც ერთვის, რომ სამსხმელო საამქროთა მუშაკებს შორის პარტიულ - მასობრივი მუშაობა დაბალ დონეზეა. ფართოდ გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება, ბევრგან მოადუნეს მუშაობა პროფესიათა მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების დარგში, ჯერჯერობით ყურადღებას არ აქცევენ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, პოპულარიზაციას.

საწარმოთა ხელმძღვანელებს ევალებათ უახლოეს ხანში მიაღწიონ სამსხმელო საამქროთა მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. მათ უნდა დაამუშაონ და წარმოებაში დანერგონ ლითონის ჩამოსხმისა და დაყალიბების გაუმჯობესებული ტექნოლოგია ძირითადი დეტალების სერიულობის მიხედვით, კატეგორიულად აღკვეთონ ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. საწარმოებთან შემოღებულ უნდა იქნას წუნის გულდასმით აღრიცხვა როგორც ცალკე ბრიგადების, ისე ყოველი მუშის სამუშაო ადგილზე. წუნის მიღებისთანავე აუცილებელია მოხდეს მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლა და განემარტოს მუშებს, თუ რა არის საჭირო სხმულის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამსხმელო საამქროებში საწარმოო კულტურის ამაღლების საკითხს. საგულდაგულოდ უნდა შეისწავლოთ, დავამუშაოთ და განვიხილოთ ის ღონისძიებები, რაც საჭირო იქნება მაღალხარისხოვანი ლითონსხმულის სისტემატურად მიღების უზრუნველსაყოფად.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ ლითონდამმუშავებელი საწარმოების პარტიულ ორგანიზაციებს. მათ უნდა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დარაზმონ საამქროებში მომუშავე კომუნისტები და დაეხმარონ მასებს დასახული ამოცანის შესრულებაში, სხმულის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებაში.

ახალი ძალით უნდა გაჩაღდეს სამსხმელო საამქროების მუშაკებს შორის სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად. ალექსანდრე ჩუტკიხის შესანიშნავი ინიციატივა საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ თბილისის ლითონ-დამმუშავებელ საწარმოთა მოსამზადებელ საამქროებში.

ბ. ლელინი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, ვადამდე შევასრულოთ ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე

საქართველოს სოფლის მეურნეობა სულ უფრო მზარდი და მაღალი ტემპით ვითარდება. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები ეხერგიულად მუშაობენ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის სტალინური პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. დამახასიათებელია ის, რომ უხვი მოსავალი მოჰყავთ ნათესთა დიდი ფართობებიდან. სწრაფად იზრდება სტახანოველთა რიგები, განუხრელად მატულობს კოლმეურნეთა შეძლებულობა. მაგალითად, 1948 წელს მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება გაიცა 2.216 კოლმეურნეობაში, რაც რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მთელი რაოდენობის 54,9 პროცენტს შეადგენს. შრომის მარტო დამატებითი ანაზღაურების წესით გაიცა მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავალი 115.906 ცენტნერი, რძე და რძის პროდუქტები—738,5 ცენტნერი, მოზარდი პირუტყვი—3.677 სული და ფულად — 42 მილიონ მანეთზე მეტი.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მშობლიურ მზრუნველობას მათი კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ.

ჩვენს წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა: „ახლა უკვე დადგა დრო, როცა ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებას უნდა მივცეთ სხვა, უფრო ფართო მასშტაბი. საკითხი ეხება არა იმას, რომ გავადიდოთ ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება რამდენიმე ათეული პროცენტით, არამედ იმას, რომ 8-10 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანას მივცეთ, მაგალითად, მზა ჩაი და ციტრუსები 4-5-ჯერ მეტი, ვიდრე ამჟამად ვაძლევთ, გავადიდოთ ღვინის წარმოება ერთისამად, კონიაკისა—3-3,5-ჯერ, ხოლო თამბაქოს ნედლეულისა — 1951 წლისათვის 30 პროცენტით და სხვა. ამასთან ერთად ჩვენ იმდენად უნდა გავადიდოთ მარცვლეულის მეურნეობა, რომ ძირითადად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი მარცვლეულით“.

ახლა სოფლად მუშაობის ცხარე დღეებია. ფართო ფრონტით ჩაღდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. პურეულის აღება სეზონური საქმეა და დროის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კოლმეურნეთა დაუღალავი შრომით, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კარგი მოსავალია მოყვანილი. მთავარია მისი დროულად და უდანაკარგოდ აღება, ამ სამუშაოს დაწყების პირველი დღეებიდანვე პურის დამზადების გაჩაღება და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების წარმატებით შესრულება.

1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია: „საჭიროა ფართოდ განემარტოს კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, რომ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებას უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის“. ეს გვავალებს სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ მოსავლის სწრაფად აღებისათვის.

მოსავლის აღების პირველ დღეებში ზოგიერთ რაიონებში გამოვლინებულ იქნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრისათვის საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ზომები მივიღოთ. ამ ნაკლოვანებებზე მიგვითითა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „სიღნაღის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებში თავთავიან კულტურათა მოსავლის აღების ნაკლოვანებათა შესახებ“. ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და მტს-ებში მოსამზადებელ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებლად ჩატარების შედეგია კომბაინების მოცდენის შემთხვევები, გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობა. მოზარდებისა და სხვათა საშუალებით ყველა კოლმეურნეობაში არ ხდება თავთავების აკრეფა მოსავლის კომბაინებით და ხელით აღების პარალელურად, ჭიანურდება აღებული ნაკვეთების მიღების აქტით გაფორმება, ზოგან წესიერად არ არის მოწყობილი შრომა, არ ხდება მიღებული მოსავლის აღრიცხვა ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით. მოწყობილი არ არის მარცვლეულის დროულად გაშრობა, გაწმენდა და გადაზიდვა. სასაწყობო მეურნეობა მოუწესრიგებელია, რაც აფერხებს მოსავლის დაბინავებას. ზოგიერთ კოლმეურნეობას არ ჩაუტარებია ბეღლის მავნებლებთან ბრძოლა. მოსავლის დაუბრკოლებელი აღებისათვის საჭირო საწვავი არ მოუმარაგებიათ შინდისის, სტალინირის, ბოგდანოვკისა და კაჭრეთის მტს-ებს. ალაზნის მტს-ის მიერ კომბაინით მოსავლის აღებისას ადგილი ჰქონდა მაღალ ჭრას, ბოლნისის მტს-ის აგრეგატს კი საწვავისა და წყლის მიწოდება დაუგვიანეს. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მოსავლის აღებისათვის მზადებას თავიდანვე ყველგან როდი მიექცა შესაფერი ყურადღება. მეტიც — ცალკეულ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში თვითეული მუშაკი გაცნობილიც არ არის პარტიისა და მთავრობის დადგენილებას 1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ. ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაგვისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც მტკიცედ და განუხრელად უნდა განვახორციელოთ.

ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა რაიონში გაჩაღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. მოსავლის აღების გეგმა ლაგოდეხისა და გარდაბნის რაიონებში თითქმის 90 პროცენტით არის შესრულებული.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სხვა რაიონებზე. ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა მოსავლის შერჩევით აღებას, მთელი მშრომელი მოსახლეობის ამ საქმეში მონაწილეობას, თუმცა ყანები მომწიფებულია. ამით აიხსნება ის, რომ მცხეთის, მარნეულის და საგარეჯოს რაიონებში მოსავლის აღების გეგმები 15 ივლისისათვის მხოლოდ 10-30 პროცენტით იყო შესრულებული. მუშაობა სათანადოდ არ გაუშლიათ და კომბაინით მოსავლის აღებაში დიდად ჩამორჩებიან საგარეჯოს და ნაწილობრივ კაჭრეთის მტს-ები. ამ მტს-ების მომსახურების კოლმეურნეობებში დანაკარგებთან ბრძოლა სუსტად მიმდინარეობს.

ამ მდგომარეობის გაგრძელება, ცხადია, არ შეიძლება. ამოცანა ის არის, რომ კომბაინი ვამუშაოთ მთელი დატვირთვით, დღისით და ღამითაც. ამასთან, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ საჭიროა მოსავლის აღებასთან ერთად გავაჩაღოთ ლეწვა, არ დავუშვათ მოსავლის აღებისა და ლეწვის დამორიშორება. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ რაიონების დიდ უმრავლესობას ჯერ კალოებზე პურის ლეწვა არც კი დაუწყია. ახმეტის რაიონში 2.955 ჰექტარზე აღებული მოსავლიდან მხოლოდ 587 ჰექტარის მოსავლია გალეწილი, ყვარლის რაიონში 4.783 ჰექტარიდან — 1.676 ჰექტარი.

იბადება კითხვა—რას აკეთებენ სალეწები? რატომ არ შეიძლება საქმე ისე მოეწყოს, რომ სრული დატვირთვით ვამუშაოთ სალეწი მანქანები? ამ საქმეში ჩამორჩენა არ შეიძლება გამართლებულ იქნას არც უამინდობით, არც მუშახელის ნაკლებობით. დღემდე ზოგან სალეწებს რემონტიც არ დაუმთავრებიათ. მაგალითად, ბოლნისისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ შეუკეთებელია ორ-ორი სალეწი მანქანა, წალკის რაიონის კოლმეურნეობებში — 6, ხოლო ხაშურის კოლმეურნეობებში ერთი. სალეწების რემონტის მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც მტს-ებშია. მაგალითად, საგარეჯოს მტს-ს გეგმით გათვალისწინებული 4 სალეწი მანქანიდან ერთიც არ შეუკეთებია. სალეწები სრულებით არ შეუკეთებიათ მარტყოფისა და წნორის მტს-ებსაც, ხოლო კასპის მტს-ში შესაკეთებელია 5 სალეწი, ხაშურისა და შულავრის მტს-ებში—ორ-ორი, ჩამორჩენაა სხვა მტს-ებშიც.

საჭიროა უახლოეს დღეებში დავამთავროთ სალეწი მანქანების რემონტი და პურეულის ლეწვაშიც ავიღოთ მაღალი ტემპი, ფართოდ მოვაწყოთ მარცვლეულის გაშრობა, გაწმენდა და პირველი ხარისხის პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარება. ამასთანავე არ უნდა ჩამოვარჩინოთ სხვა სამუშაოებიც. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თივის აღება-დამზადებას. მაშინ, როცა გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებმა თიბვის გეგმა უკვე შეასრულეს, თელავის რაიონში გათიბულია დავალების მხოლოდ ერთი მეოთხედი, ხოლო ახმეტის რაიონს 1.100 ჰექტარიდან ერთი ჰექტარიც არ გაუთიბავს. ბრადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დუშეთსა და სხვა რაიონებში. არ უნდა დავუშვათ ბალახის გადაშეფება, თიბვა უნდა ვაწარმოოთ ბალახის შემოსვლისთანავე.

ასევე უნდა ვიზრუნოთ შაქრის ჭარხლის, სიმინდის, თამბაქოს, ბამბის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესების მოვლა-დამუშავებისათვის. გარდა ამისა, საჭიროა ამთავითვე ვემზადოთ ამ კულტურების მოსავლის აღებისათვის. მთელი ძალები ისე უნდა გავანაწილოთ, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად წარმოებდეს.

მოსავლის აღების პირველი დღეების შედეგები მოწმობენ, რომ ბევრი კომბაინერი წარმატებით ასრულებს სოციალისტური

...ულიად საქართველოს ნებაყოფლობითი ...ზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოში

...დღეებში შედგა სრულიად საქართველოს ...ულებითი საზოგადოება „ტყის მეგობ...“ საბჭოს გაფართოებული სხდომა.

...ომა გახსნა სრულიად საქართველოს სა...ოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზი...ის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბ. გოგუამ.

...ებით 1949 წელს „ტყის დღის“ ჩატა...ბ შედეგებისა და ტყის ნარგავთა მოვლის ...ცვის ამოცანების შესახებ გამოვიდა სა...ების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდო...მ მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიე...ა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ზ. გუ...ელი.

...ო რა დამსწრეთ საზოგადოების საქმიან... შესახებ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ...დღეს“ რესპუბლიკის ქალაქებსა და ...ებში დარგულ იქნა 11.400 ათასზე მეტი ...ეთქმის ორჯერ მეტი, ვიდრე შარშანდელ ...დღეს“. საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ...ომა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ...ის გზით ნარეული ხეხილის სატყეო ბა...ბა გადაქცევისათვის.

...ნარგავთა ფართობის გადიდებისათვის ...ამუშაო შესარულეს თბილისის, ქუთა...ა, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკე...ბინძის, ზესტაფონის, ქარელის, სიღნა...და სხვა რაიონების „ტყის მეგობრის“ ...ადმა ორგანიზაციებმა. მაგალითად, თბი...ის მშრომელებმა „ტყის დღეს“ დარგეს ...ათასზე მეტი ხე, ქუთაისის მშრომელებმა 10.500, აფხაზეთისა—825 ათასი, აჭარისა—...ათასზე მეტი, ასპინძის რაიონში ამ დღეს ...ულ იქნა 60 ათასი ძირი ფიჭვი, აკაცია, ...ი ხე, აგრეთვე სხვადასხვა ხეხილი, ქარე...რაიონში—75 ათასი.

...ამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ...ანოვანდა, ახალქალაქისა და ზოგიერთ ...აიონში „ტყის დღე“ არადამაკმაყოფილე...ნატარდა. აქ არასერიოზულად მოეკიდ...ადგილობრივი პირობებისათვის გამოსადე...ი ჯიშების შერჩევას.

...ებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ...ათა მოვლის საკითხს. ზოგიერთ რაიონში ...ბრუნველყვეს ახალ ნარგავთა მოვლა და ...მოუვლელობის შედეგად ნარგავე...ქალაქში ცუდ მდგომარეობაშია. ბევ...ნარგავი ხე მოტეხილია. ამავე მიზეზით ...ის სრულიად დაიღუპა ახალქალაქი-ბა...ის გზის გაყოლებით დარგული ხეები.

...ელობით არის გამოწვეული კაკლის ...ბრდა ნარგავთა დაღუპვა თბილისი-თე...ის გზის სამგორი-სართიჭალის უბანზე.

...ჯანის რაიონის კოლმეურნეობა „გუთ...“ და კალინინის სახელობის კოლმეურნეო...ერ გზების გაყოლებით დარგული 3 ათა...ი ხე არ არის შემოღობილი და მოუვლე...ა და დაუცველობის გამო იღუპება.

...ნ ნარგავების გაფართოებისა და შენარ...ისათვის ბრძოლა უნდა წარმოებდეს სის...ტურად, ეს მთელი საზოგადოებრიობის ...ელოვანესი საქმეა.

...ტყის მეგობრის“ პირველადი ორგანიზაციე...ა სრიოზული ამოცანაა აგრეთვე გზების გა...ეთ, საკარმიდამო და სასკოლო ნაკვეთე...ხეხილის დარგვა.

...ა მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სა...ა ქსელი გამჭვანების საჭიროებათათვის ...ა მასალის გამოსაყენებლად. სრულიად სა...ელოს საზოგადოება „ტყის მეგობარს“ ...ეტი სანერგე მოეპოვება. ამჟამად მომ...რესპუბლიკის გვალვიანი და უტყეო ...ებისათვის საჭირო სარგავი მასალის სპე...ური სანერგის შექმნის საკითხი. მწვანე ...ა ფართობის გადიდების ამოცანის გა...ს დიდად შეუწყობს ხელს სატყეო ჯიშე...ესლის მასობრივი შეგროვება.

...ბ. გულისაშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა ...თუ რა როლი უნდა შეასრულოს საზო...ბა „ტყის მეგობარმა“ საკავშირო კ. პ. (ბ) ...ალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ...ტრთა საბჭოს მიერ მინდორსაცავ ნარგავ...თა შესახებ მიღებული ისტორიული დადგენი...ლების რეალიზაციის საქმეში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სრულიად საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობრის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ლომიძემ უამბო დამსწრეთ, რომ „ტყის დღეს“ ქალაქში დარგულ იქნა 100 ათასზე მეტი ხე. ქუთაისის ცენტრიდან — სტალინის სახელობის მოედნიდან ავტოქარხანამდე 8 კილომეტრ მანძილზე გაშენდა ხეივანი. ავტოქარხნის კოლექტივმა თავის ტერიტორიაზე დარგო 12 ათასი ძირი ხე. მთელმა რიგმა საწარმოებმა — ქარხანა „მაღაროელმა“, სა...კონსერვო ქარხანამ ნერგის გამოსაყვანად შექ...ნეს „აწყვანე საამქროები“—სანერგეები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწი...ფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამხ. ნ. კეცხოველმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს არსებული ტყის ნარგავების მოვლა და დაცვა. ამასთან დაკავში...რებით პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს იმის შესახებ, რომ შენარჩუნებულ იქნას ამონაყარი ტყის განაჩეხ ადგილებში მდინარე მტკვრის ხეობაში ხაშურსა და გორ...დაბას შორის. ეს ამონაყარი ჯეროვანი მოვ...ლისას რამდენიმე წელიწადში შეიძლება ტყეე...ბად გადაიქცეს.

სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი სა...ზოგადოება „ტყის მეგობრის“ წალკის რაიონუ...ი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კ. სევასტოვ...მა სხდომას მოახსენა წალკის რაიონში ტყის ნარგავთა ფართობის გადიდებისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. გამოვლინ...ბულია 1.600-ზე მეტი ჰექტარი მიწის თავისუ...ფალი მასივი, რომელიც წარმატებით შეი...ძლება გამოყენებულ იქნან ტყის გასაშენებ...ად. რაიონული საზოგადოება „ტყის მეგობა...რი“ უკვე ახლა ენერგიულად ემზადება საშე...მოდგომო რგვისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილ ადგილობრივ სანერგეში მოიპოვება სხვადასხვა ჯიშის მცენარის 650 ათასზე მეტი ნერგი.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. კუპრაძემ ილაპარაკა საზოგადოება „ტყის მეგობრის“ სასკოლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ დიდ მუშაობაზე, რომლებ...შიც 300 ათასამდე წევრი ირიცხება. მიმდინარე წელს რესპუბლიკის სკოლებმა დამატებით მიიღეს 3.000-ზე მეტი ჰექტარი მიწა. სასკოლო ნაკვეთებზე დარგულია 287 ათასი ხეხილი—ვაშლი, მსხალი, ბალი, ატამი და ქლიავი, ფოთ...ლოვანი და წიწვიანი ხე. სათანადო მოვლის მეოხებით ახლა ნარგავებმა კარგად იხარა. სკოლების მასწავლებლები გამწვანების იდეის ფართო პროპაგანდას ეწევიან მოსახლეობაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სრულიად საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობრის“ თბილისის რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. მიგრიაულმა, სრულიად საქართველოს საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბ. გიგინეიშვილმა, სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების ბოგდანოვკის რაისაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ავაკიანმა, სრულიად საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობრის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. თედეევმა, საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ და საზოგადოება „ტყის მეგობრის“ თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბ. კიზირიამ.

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე სრულიად საქართველოს საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. შ. ბალანჩივაძის ინფორმაცია „ტყის მეგობრის“. პირველად ორგანიზაციებში საწევრო შესატანის აკრეფის მიმდინარეობის შესახებ.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი. (საქდესი).

საბჭოთა მშენებლობა

განუხრელად განვახორციელოთ ნაკისრი ვალდებულებანი

როგორც კი გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი გავაზელთა შესანიშნავ ინიციატივაზე სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მოიწვია სასოფლო საბჭოების, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა რაიონული თათბირი, დაწვრილებით გააცნო მათ ამ მოწოდების შინაარსი.

სასოფლო საბჭოებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. პირველი დღიდანვე დაიწყო ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა, რამაც უზრუნველყო რაიონში საგაზაფხულო ხვნა-თესვის და სხვა სამუშაოთა ვადაზე ადრე დამთავრება.

რაიონული საბჭოს აღმასკომი სისტემატურ დახმარებას უწევს სასოფლო საბჭოებს ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელების საქმეში. ამ დღეებში შევამოწმეთ ვალდებულებათა შესრულება.

რა გამოირკვა? ოსიაურის სასოფლო საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ბლიაძე) წინათ გეგმების შესრულებაში ჩამორჩებოდა. როცა სასოფლო საბჭოს მორიგ სესიაზე სპეციალურად გავაზელთა პატრიოტულ თაოსნობას ეცნობოდნენ, მხილებულ იქნა ყველა ნაკლი. იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი. უმოკლეს დროში ოსიაურის სასოფლო საბჭომ აქტივის ფარ...ოდ დარაზმვით კარგ მაჩვენებლებს მიაღწია. დამყარდა დეპუტატების მტკიცე კავშირი აძომრჩევლებთან, გამოცოცხლდა მუდმივი კომისიების საქმიანობა, გაძლიერდა მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. საბჭო ყოველდღიურად ხელმძღვანელობს და დახმარებას უწევს ამ კომისიებს.

ოსიაურელთა ერთ-ერთი ვალდებულება იყო ელექტროხაზის გაფართოების საკითხი. მოსახლეობის შრომითი დახმარებით ეს საქმე დასახულ ვადაზე გაკეთდა. დღეს ილიჩის ნათურები ანათებენ ოსიაურელთა კეთილმოწყობილ ბინებს. მდინარე სურამულაზე ხიდის უქონლობა დიდად აბრკოლებდა მიმოსვლას რაიონის ცენტრისაკენ, ხოლო წვიმების დროს მდინარეზე გადასვლა სულ არ შეიძლებოდა. სასოფლო საბჭომ ამ საქმის მოგვარება იკისრა, ამჟამად სურამულაზე უკვე რკინა-ბეტონის ხიდია გაკეთებული. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ზემო ოსიაურის სასოფლო კლუბის მშენებლობა, რაც 1 აგვისტოსათვის დამთავრდება, კლუბი 300 მაყურებელს დაიტევს. მთავრდება ზემო და ქვემო ოსიაურის მთლიანი რადიოფიცირება. ზამთრისათვის სკოლებში მიზიდულია 130 კუბმეტრი შეშა. საკოლმეურნეო მინდვრებში გაჩაღებულია დიდი მუშაობა უხვი მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ ასაღებად.

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახულ ცენტრალურ ამოცანას ამჟამად მეცხოველეობის ყოველმხივ განვითარება წარმოადგენს. მეცხოველეობის განვითარების დონე მეტწილად დამოკიდებულია საკვები ბაზის მდგომარეობაზე. სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა დღემდე პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების მთავარი დაბრკოლება იყო. სასოფლო საბჭოს დახმარებით კოლმეურნეობებში მიღებულია ზომები საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

უნარიანად მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მიერ დასახულ საბრძოლო ამოცანათა განხორციელებისათვის გომის სასოფლო საბჭოც (აღმასკომის თავმჯდომარე მ. ჭანკოტაძე), სასოფლო საბჭოს დეპუტატებისა და აქტივის საშუალებით კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულეს. ახლა გაშლილია დიდი მუშაობა უხვი მოსავლის ასაღებად. სასოფლო საბჭოს დეპუტატი ილიკო კვირიკაშვილი თავდადებული შრომის მაგალითს უჩვენებს კოლმეურნეებს. იგი იბრძვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის.

რეგულარულად იმართება სესიები და აღმასკომის სხდომები, ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებენ მუდმივი კომისიები, ამაღლდა დეპუტატების და საბჭოთა აქტივის როლი.

სასოფლო საბჭოებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებით თავი ისახელეს აგრეთვე ალის, ქვიშხეთის და სხვა სასოფლო საბჭოებმა. ამჟამად დეპუტატები და აქტივი ფარ...ოდ განუმარტავენ კოლმეურნეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა უდანაკარგოდ იქნას აღებული მოსავალი, ვადაზე შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმა.

მაგრამ იმის თქმა, რომ რაიონში ყველაფერი რიგზეა, არ შეიძლება, სასოფლო საბჭოები ყველგან როდი მუშაობენ ახლებურად. ვაყის სასოფლო საბჭომ (აღმასკომის თავმჯდომარე ი. ქართველიშვილი) სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი ფორმალურ დაპირებად აქცია. სუსტად მუშაობენ მუდმივი კომისიებიც. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე წაღვლის სასოფლო საბჭო (აღმასკომის თავმჯდომარე ხ. კაპანაძე). ეს, რასაკვირველია, შედეგია რაიონული საბჭოს აღმასკომის არასაკმაო ხელმძღვანელობის და დახმარებისა. რაისაბჭომ ამ ნაკლთა გამოსასწორებლად უკვე მიიღო გადამჭრელი ზომები.

ეშვი არ არის ჩვენი რაიონის სასოფლო საბჭოები პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მტკიცედ განახორციელებენ საქართველოს ბოლშევიკთა XIV ყრილობის მიერ დასახულ საბრძოლო ამოცანებს.

ს. გელაშვილი

მშრომელთა დეპუტატების ხაშურის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

მეჯი ყურადღება წიგნის გავრცელებას

ახლა, როდესაც კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ადამიანების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას, მათი კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი მძლავრი იარაღია წიგნი. წიგნის საშუალებით უნდა დავეუფლოთ მეცნიერებისა და კულტურის ყველა მონაპოვარს, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კომუნიზმის გამარჯვება. წიგნი საბჭოთა ადამიანების განუყრელი მეგობარია, იგი აწვდის მათ სულიერ საზრდოს. ამიტომ წიგნის გამოცემა და გავრცელება ჩვენს ქვეყანაში პასუხსაგები და საპატიო ამოცანაა.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს ამ დარგში, როგორ არის დაყენებული ჩვენს რესპუბლიკაში წიგნის გამოცემისა და გავრცელების საქმე?

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა სახელმწიფო გამომცემლობებმა დღემდე ვერ გარდაქმნეს მუშაობა, ვერ აკმაყოფილებენ მკითხველთა მზარდ მოთხოვნილებას წიგნზე, ჯერ კიდევ ვერ გააუმჯობესეს წიგნის გამოცემის ხარისხი.

გარდა უგემოვნო და უხეირო გაფორმებისა, მთელი რიგი წიგნები სავსეა კორექტურული შეცდომებით. ცუდად და უვარგისი მასალით აკინძული წიგნები ხშირად ვერ უძლებენ ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას. მაგალითად, ი. გრიშაშვილის საბავშვო ლექსები („საბლიტგამის“ გამოცემა), კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა I ტომი („სახელგამი“), ყაზბეგის ნაწარმოებთა მეორე ტომი („საბჭოთა მწერალი“), „ა. იუეინ-სუმბათაშვილი“ („ხელოვნება“), „ვოლტერი“ („სახელგამი“) და ბევრი სხვა წიგნი, მათს უშნო გარეგნულ გაფორმებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ისე დაუდევრად და ცუდად არის აკინძული, რომ მათი ბიბლიოთეკებში გამოყენება შეუძლებელია. ყველა მათგანს ყუებზე გადაკრული აქვთ უბრალო ქაღალდი, წიგნი პირველი გადამლისთანავე ირღვევა და ცალკე ფორმებად იფანტება.

წიგნი „ვოლტერი“, გარდა იმისა, რომ როგორც თარგმანის მხრივ, ისე სტილისტურად ძალიან სუსტია, გამოცემის მხრივაც ვერ აკმაყოფილებს მკითხველს. ეს წიგნი ორჯერ გაკეთდა წარმოებაში. როცა პირველად ჩააბარეს წიგნის ბაზას, ერთი თავი სრულიად სხვა მასალა ჰქონდა ჩაკერებული, რის გამო იგი დაბრუნებულ იქნა წარმოებაში და ხელახლა მოხდა მისი აკინძვა, გაფორმება, რამაც საგრძნობლად გაადიდა მისი გასაყიდი ღირებულება. წიგნში „რამაიანა“ (გამოცემა „საბჭოთა მწერალისა“) ერთი ფორმა სულ სხვა მასალაა ჩაკერებული, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს წიგნის შინაარსთან. ა. ყაზბეგის მეორე ტომი გამოცემულია მეტად უხარისხოდ, გარედან ყდაზე გადაკრული აქვს უფერული და მდარე ხარისხის ყალამქარი.

თავიანთ თემატურ გეგმებში გამომცემლობები არ ითვალისწინებენ სადღეისო თემებზე საჭირო ლიტერატურის გამოცემას, კერძოდ დიდი ნაკლებობაა პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისა.

მცირე რაოდენობით მოგვეპოვება ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებნი. გამომცემლობები არ ფიქრობენ შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანის“, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალ გამოცემებზე.

იმის ნაცვლად, რომ თანამედროვე ავტორების ახალი მხატვრული პროდუქცია მივაწოდოთ მკითხველს, ხშირად იბეჭდება მათი უკვე ცნობილი, რამდენჯერმე დაბეჭდილი ნაწარმოებნი.

წიგნის გამოცემის დროს არ ხდება გაწეული საგამომცემლო ხარჯების სწორად გამოანგარიშება, გამომცემლობანი ზუსტად არ ხელმძღვანელობენ მთავრობის მიერ დამტკიცებული საწარმოო ნორმატივებით, საავტორო ტარიფებით და მასალათა ღირებულებით, რის გამოც ადგილი აქვს წიგნის გასაყიდი ფასების არასწორად განსაზღვრას, წიგნის ხელოვნურად გაძვირებას, რაც ზედმეტ ტვირთად აწვება წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს.

წიგნის ფასების გადიდებას ჩვენში იწვევს აგრეთვე ტირაჟის სიმცირე. რამდენად მცირეა წიგნის ტირაჟი, ცხადია, იმდენად უფრო მაღალია მისი გასაყიდი ფასი.

ზოგიერთი გამომცემლობის მუშაკები და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციები იმ დასკვნამდე მიდიან, თითქოს არ შეიძლება ჩვენში წიგნის ტირაჟის გადიდება, ფიქრობენ, რომ წიგნზე მოთხოვნილება ნაკლებია და მისი გაყიდვა შეუძლებელიაო. საკითხის ამგვარად გაგება საფუძველს მოკლებულია და თანამედროვე მკითხველის მზარდი კულტურული მოთხოვნილების უგულებელყოფას ნიშნავს. გამომცემლობები არ ითვალისწინებენ, რომ ქართველ მკითხველთა რაოდენობა დიდია და განუწყვეტლივ იზრდება. ჩვენში ამჟამად სამი ათასამდე ბიბლიოთეკა, კლუბი და ქოხ-სამკითხველო, [illegible] მეურნეობებში მასობრივად [illegible] საკოლმეურნეო ბიბლიოთეკები [illegible] გიერთი წიგნის ტირაჟი [illegible] მცირეა, რომ მარტო ბიბლიოთეკა-სამკითხველოებსაც კი ვერ დააკმაყოფილებს.

მიუხედავად ამისა, „საქწიგნის“ საწყობებსა და მაღაზიებში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით აწყვია რამდენიმე წლის წინათ გამოცემული ქართული წიგნები. რით აიხსნება ეს მდგომარეობა?

მართალია, ზოგიერთი მხატვრულად მდარედ, ცუდად გამოცემული წიგნი ხაკლებ დაინტერესებას იწვევს მკითხველში, რომლის კულტურული დონე უჩვეულოდ ამაღლდა და განვითარდა და ამის გამო, რა თქმა უნდა, ასეთი წიგნები ცოტა იყიდება. მაგრამ ქართული წიგნის სუსტი გავრცელების უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს წიგნის გასაღების ცუდი ორგანიზაცია.

წინა წლებში უფრო აღმაშფოთებელი მდგომარეობა იყო ქართული წიგნის გასაღების საქმეში. „საქწიგნის“ მუშაკები თვითდინებაზე დაყრდნობით მუშაობდნენ, გამომცემლობები სცემდნენ წიგნებს და მთელი ტირაჟებით აბარებდნენ „საქწიგნს“, რომელიც ნაკლებად ზრუნავდა მათი გასაღებისათვის და არ ქონდა გავრცელების სწორი ორგანიზაცია. გარდა ამისა, რაიონებში წიგნი იგზავნებოდა მკითხველის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ხშირად ამა თუ იმ წიგნს თბილისში სანთლით ეძებდნენ მკითხველები, რაიონებში კი იგივე წიგნი მაღაზიებში ასობით ეწყო თაროზე.

უკანასკნელ ხანებში „საქწიგნის“ ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა, შეამოწმა მაღაზიები და ხელახლად მოახდინა ამ არასწორად გაგებული ლიტერატურის დადაჯგუფება ერთ ადგილიდან მეორეში, გახსნა დამატებითი მაღაზიები და კიოსკები, შემოიღო გარეთ ვაჭრობა, მოაწყო რაიონებში წიგნის გასაღების ფართო ქსელი. ყველა რაიონში ამჟამად მუშაობენ „საქწიგნის“ სპეციალური წარმომადგენლები, რომელთაც დავალებული აქვთ წიგნის გავრცელების საქმის ორგანიზაცია.

ასეთი ღონისძიებით გასულ წელს „საქწიგნმა“ საქართველოში გაავრცელა ორ მილიონამდე მანეთის წიგნი, აქედან მარტო აფხაზეთის კოლმეურნეობებმა შეიძინეს ნახევარი მილიონი მანეთის ლიტერატურა, ხოლო ზუგდიდის რაიონში შარშან რეალიზებული იქნა სამასი ათას მანეთზე მეტი ღირებულების წიგნები. მაგრამ „საქწიგნის“ მიერ ჩატარებული ეს ღონისძიებები ჯერ კიდევ არასაკმარისია.

წიგნის გასაღება როგორც ქალაქად, ისე სოფლად მინდობილი აქვს „საქწიგნის“ მაღაზიებს, მაგრამ სამწუხაროდ ამ მაღაზიებში ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ წიგნით ვაჭრობის ცოდნა, არა აქვთ კავშირი თავისი რაიონის წარმოება-დაწესებულებებთან, ბიბლიოთეკებთან, მკითხველებთან, არ ცდილობენ მეტი რაოდენობით გაყიდონ წიგნი.

იქ სადაც „საქწიგნის“ მაღაზია არ არსებობს, წიგნის გასაღების საუკეთესო ბაზას სოფლად ცეკავშირის სავაჭრო ქსელი წარმოადგენს. ცეკავშირი რომ გულისხმიერად ეკიდებოდეს წიგნით ვაჭრობის საქმეს, მაშინ გამოცემული წიგნების თითქმის ნახევარს იგი გაჰყიდდა. მაგრამ ცეკავშირს სოფლის მომხმარებელთათვის საჭიროდ არ მიაჩნია წიგნი და ამიტომ უმნიშვნელო რაოდენობით იღებს მას „საქწიგნის“ ბაზიდან.

ცეკავშირს მიღებული წიგნები მაღაზიებში უწყვია როგორც წუნდებული საქონელი უნაგირებსა და რკინეულთან ერთად, ისე რომ მომხმარებელი ვერც კი შეამჩნევს მათ.

ცეკავშირის სისტემის მაღაზიებში არსებული წიგნების 50 პროცენტი ისეა დანაგვიანებული, გახუნებული და გაცვეთილი, რომ ახლა მისი გაყიდვაც კი უხერხულია.

გულრიფშის სოფლის კოოპერატივის თანამშრომლებმა ისიც კი არიან, თუ რა წიგნი აქვთ. ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის.

კოლმეურნეობებში ბიბლიოთეკების მოწყობის საქმე ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გაშლილი. ის ლიტერატურა, რომელიც მიღებული აქვთ კოლმეურნეობებს და მიიღებენ მიმდინარე წელს „საქწიგნიდან“, გამოყენებულ უნდა იქნას დანიშნულებისამებრ. საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ შეარჩიოს ბიბლიოთეკებისათვის შესაფერისი ბინები, მოაწყოს წიგნების სისტემატური გაცემა კოლმეურნე მკითხველებისათვის. ამ საქმეში კოლმეურნეობებს დახმარება უნდა გაუწიონ აგრეთვე რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებებმა.

წიგნის გავრცელება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. „საქწიგნმა“ და ცეკავშირმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა ამ მიმართულებით. ამ საქმეში მათ ენერგიული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

შ. ღონღაძე

დავეუფლოთ ფიზიკა-ტექნიკის მეცნიერებას

...მდინარე წლის აპრილში ლენინ...ისა და ლენინგრადის ოლქის მუ...ბმა წერილით მიმართეს ამხანაგ ...ინს, რომელშიც ისინი პირობას ...ნ მთელი თავიანთი ძალები, ...ა და გამოცდილება გამოიყენონ ...ების ტექნიკური პროგრესისა...ამ წერილმა დიდი გამოხმაურება ...ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ...კის მუშაკებს შორის. ლენინგრა...ა ეს უაღრესად დიდი პატრიო...ული წამოწყება ორგანულადაა და...ერებული იმ ისტორიული მნიშ...ლობის დიდ ამოცანებთან, რო...ა გადაჭრა აუცილებელია კომუ...ტური საზოგადოების წარმატებით ...ებისათვის.

...ტექნიკის განვითარებისათვის აუცი...ელი პირობაა, რომ ის ემყარებო...ა მტკიცე თეორიულ საფუძვლებს. ...ალიზმის ქვეყანაში ტექნიკის გან...ება არ შეიძლება ცალმხრივად ...ართოს, ის თეორიული გამოკ...ებით უნდა იქნას სათანადოდ გამ...ებული, მის დასაყრდენს ზოგადი ...ორიული კვლევაძიების მონაცემები ...წარმოადგენდეს. ამიტომ ჩვენი ...ის ტექნიკური პროგრესისათვის ...ელებელია ფიზიკისა და მათემა...კის მეცნიერებათა სათანადო სი...ეზე აყვანა, ამ მეცნიერებათა და...ებისათვის სისტემატური ბრძო...ა. გადაუჭარბებლად შეიძლება ით...ს, რომ ფიზიკისა და მათემატიკის ...ნით შეიარაღებული სპეციალის...ბის მონაწილეობა გადამწყვეტ ...ს ასრულებს თანამედროვე ტექ...რთული პრობლემების დამუშა...ში. ამის თვალსაჩინო მაგალითს ...მოადგენს დიდი სიჩქარეების ...თმფრინავების შექმნა, რაც მთი...ოსთა და ინჟინერთა ნაყოფიერ...ელსური მუშაობის შედეგია; ...ამავე დროს ტექნიკის არც ერთი ...ოზული პრობლემა არ შეიძლება ...ატებით გადაიჭრას, თუ მას სათა...ო თეორიული, ტექნიკურად დასა...ბუთებული გამოკვლევები არ დაედო საფუძვლად.

საბჭოთა კავშირის და კერძოდ, საქართველოს უმაღლესი სკოლის მუშაკთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ახალგაზრდობის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებით შეიარაღება. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობამ სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი ამ მეცნიერების შესწავლას. ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა, კომუნიზმის მშენებელთა მომზადება. ჩვენმა სახელოვანმა პარტიამ და მთავრობამ საბჭოთა ახალგაზრდობის მიერ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დაუფლებისათვის ყველა პირობა შექმნა, საჭიროა ეს შესაძლებლობანი შესაფერისად გამოიყენოს მოსწავლე ახალგაზრდობამ.

საბჭოთა კავშირის ასეულ უმაღლეს სასწავლებელში წარმოებს ფიზიკოსების და მათემატიკოსების მომზადება. ამ უმაღლეს სასწავლებელთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. იგი დამსახურებულად სარგებლობს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტის სახელით. მასში 5.000-მდე სტუდენტი ეუფლება მეცნიერების სხვადასხვა დარგს, რომელთაც 500-ზე მეტი პროფესორი, დოცენტი და მასწავლებელი ხელმძღვანელობს. თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ერთ-ერთი უმძლავრესი ფაკულტეტია საბჭოთა კავშირში. აქ სტუდენტების მომზადება წარმოებს მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, ასტრონომიის და გეოფიზიკის სპეციალობათა მიხედვით. ფაკულტეტთან 20-მდე ლაბორატორია და კაბინეტი მუშაობს, რომელთა მოწყობილობა ყოველდღიურად იზრდება ახალი ხელსაწყო-იარაღებით. ფაკულტეტთან მუშაობს აგრეთვე ახლადშექმნილი პლანეტარიუმი, რომელიც ერთადერთია ამიერკავკასიაში. ფაკულტეტმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი მისცა ჩვენს ქვეყანას. მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ფაკულტეტმა 280-ზე მეტი სპეციალისტი გამოუშვა.

1948 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი, ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი. ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა კავშირის იმ 5 უნივერსიტეტის რიცხვშია, რომლებშიც ასეთი ფაკულტეტი არსებობს. ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე ახალგაზრდობა ეუფლება ახალ ტექნიკას, მის ღრმა თეორიულ საფუძვლებს, ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სამუშაო ობიექტებია სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები და ლაბორატორიები. ახალგაზრდა, რომელსაც აქვს მიდრეკილება და ინტერესი თანამედროვე ტექნიკის დაუფლებისა, მისი თეორიული და პრაქტიკული მხარეების ათვისებისა და არ დაიზარებს ამისათვის საჭირო შრომას, ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე სწავლით შეიძენს ღრმა ცოდნას, რაც საჭიროა ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ტექნიკის წინსვლისათვის. ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტს უკვე აქვს მძლავრი დასაყრდენი ლაბორატორიული ბაზა და ის სწრაფად იზრდება. ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის და ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტებზე სტუდენტთა მომზადებას ამჟამად ისეთი მეცნიერები ხელმძღვანელობენ, რომელთა სახელი ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს სამეცნიერო

ფოლიაჯის სიჯყვა იჯალიის დეკუჯაჯთა პალაჯაში

რომი, 15 ივლისი. (საკადესი). როგორც ანსის საააგენტო იუწყება, ორი დღის განხილვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტს დაავალა „მოახდინოს ევროპის საბჭოს [illegible] 1949 წლის 5 მაისს ლონდონში ხელმოწერილი სტატუტის რატიფიკაცია“.

კამათში გამოვიდა სოციალისტი დეპუტატი ლელნო ბასო, რომელმაც განაცხადა: „ევროპის საბჭო ფაქტიურად წარმოადგენს იტალიკის პოლიტიკის ბარაღს, ამერიკის იმპერიალიზმის ბარაღს მის ანტიკომუნისტურ ბრძოლაში. მართალი არ არის როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, რომ აღნიშნული საბჭო გაწონასწორებს ამერიკის გავლენას: პოლიტიკურად ეს მართალი არ არის იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიო ფინანსების ბატონ-პატრონებად რჩებიან, ხოლო ეკონომიურად იმიტომ, რომ აღმოსავლეთ ევროპაზე მოწყვეტილ დასავლეთ ევროპას არ შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროს. ევროპის საბჭომ ფედერალიზმით უნდა შენიღბოს ტლანქი სინამდვილის ორი ფაქტი: ამერიკის საფინანსო კაპიტალის ბატონობა ევროპის ეკონომიკის მიმართ და დასავლეთის ბლოკი მისი აგრესიული ინტერსაბჭოთა მისწრაფებით. ევროპის საბჭოზე როგორც შესაძლებელ მესამე ძალაზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი“.

კომუნისტური პარტიის სახელით კამათში გამოვიდა პალმირო ტოლიატი. მან განაცხადა: „რაც შეეხება ფედერალისტურ იდეებს, მე ეფუძერობ, ევროპის კონტინენტის ფედერაციის თუ გაერთიანების იდეა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ევროპის საზოგადოების მთელი ეკონომიური საფუძვლის ღრმა შეცვლის გზით. ამასთან დაკავშირებით ჩემი ფედერალიზმი იმდენად, რამდენად ის არსებობს, განუხრელად არის დაკავშირებული ჩემს სოციალიზმთან, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ, ჩემი აზრით, ევროპის ყველა ნაციონალური ეკონომიკა უნდა გარდაიქმნას სოციალისტური მმართველობით და რომ ეს არის ერთადერთი გზა ფედერაციის თუ გაერთიანების შესაქმნელად. ევროპა მხოლოდ მაშინ შეძლებს გაერთიანებას, როცა მისთვის უცხო იქნება განსაკუთრებული ნაირსახეობა მონებისა, რომლებსაც წარმოადგენენ ადამიანები, ხელფასს რომ იღებენ. მოსპეთ კაპიტალისტური მონობა, მოსპეთ იმპერიალიზმი, თუ გსურთ შექმნათ ერთიანი ევროპა.

მე მსურს აღვნიშნო, რომ საშუალო ფენების საზოგადოებრივ აზრში არის ძლიერი ფედერალისტური მიმდინარეობა. ადამიანები დაღალნენ იმ მოგლენების გამო, რომლებიც ამ უკანასკნელი სამი თაობის ცხოვრების მანძილზე ვითარდებოდნენ. ფედერალიზმი თითქოს სხვა გზას უჩვენებს მათ. ფედერალიზმი, როგორც ჩანს, იმათ, ვისაც იგი სწამს, სთავაზობს მყუდრო ნავსაყუდელს. მაგრამ ეს არ არის ისეთი გზა, რადგან არ არსებობს სხვა გზა, გარდა ხალხთა თანამშრომლობის გზისა. თითქოს ომის დამთავრებისთანავე ჩვენ უკვე დავადექით ამ გზას. მართალი არ არის, რომ ომის დამთავრების შემდგომი პერიოდი გააფთრებული ნაციონალიზმის პერიოდი იყო. პირიქით, ეს იყო პერიოდი, რომელიც უშუალოდ უახლოვდებოდა იმას, რომელშიც ჩვენ, შესაძლოა, ევროპის ისტორიაში პირველად შევქმენით ისეთი დიპლომატიური აქტები, როგორიცაა თეირანის, იალტისა და პოტსდამის აქტები, სადაც, ყოველ შემთხვევაში, განხორციელდა ყველა დიდ სახელმწიფოთა თანამშრომლობის საფუძვლის ჩაყრისა და ყველა საერთაშორისო პრობლემათა ერთობლივი გადაწყვეტის ცდა. შემდეგ უკვე სხვა გზით დაიწყო სვლა, რადგან თანდათან გამოვლინდნენ იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმის, ახალი მატარებლები.

ახლა ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეგრეთ წოდებული ფედერალისტური და ევროპული მიმდინარეობანი თავიანთი შინაარსითა და იმით, თუ ვინ იყო მათი ინიციატორი, არის მხოლოდდამხოლოდ ნიღაბი, რომელიც იმპერიალისტურ მისწრაფებას ფარავს. ნერჩილის სიტყვა ფულტონში და ფედერალიზმი ანალოგიურია: პირველი არის მოწოდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ, მეორე—ნიღაბი, რომლითაც ლამობენ დაფარონ ეს მოწოდება, რათა მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ომის გაგონებაც კი ირა სურს და რომელიც ოცნებობს მთელი დედამიწის ახალ მშვიდობიან მოწყობაზე. ამ იდეების მომხრეებს თავი ისე მოაქვთ, თითქოს სურთ მიაღწიონ ერთიანობას, ნამდვილად კი ისინი ცდილობენ დაარღვიონ ეს ერთიანობა. ისინი ლაპარაკობენ ევროპაზე და ამავე დროს წარმოადგენენ მხოლოდ მის ერთ ნაწილს, მეორე ნაწილს კი წინასწარ გამორიცხავენ.

გვერდი ავუარეთ ახლა მოსაზრებებს იმ კონკრეტული მანვერების მნიშვნელობის შესახებ, რომლებსაც განსაზღვრული იმპერიალისტური ჯგუფები ახორციელებენ ფედერალიზმის ყალბი დროშით. ჯერ ბრიტანეთის ახალდაღორძინებულმა იმპერიალიზმმა სცადა ხელში ჩაეგდო გალენის სფერო ევროპის კონტინენტზე და ბლაცდარმი ანტისაბჭოთა ომის მოსამზადებლად. „მარშალის გეგმამ“ და ამერიკის ინიციატივამ, რომლებიც უფრო მტაცეცე ბატერიალურ ბაზის ემყარებიან, ვიდრე ახლანდელი ინგლისის იმპერიალიზმის ბაზა, ჩაახშეს ინგლისის ინიციატივა, შთანთქეს და მთლიანად დაიმორჩილეს იგი. ამიტომ დღემდე ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ერცელ „მარშალის გეგმას“ და არა ჩერჩილისა და ბევინის ტიპის ევროპის კავშირს. აი რა არის თქვენი ფედერალიზმის არსი.

როცა თქვენ ლაპარაკობთ ფედერალიზმზე და იმოწმებთ მაძინის იდეალებს, იგრეთვე XVIII საუკუნის პროგრესულ, კეთილშობილურ ჰუმანურ იდეალებს, რომელთაც ჩვენ პატივსა ვცემთ; როცა ამით ხართ გართული, თქვენ მიმართავთ მანევრებს, რომლებიც ნიღაბავენ საქმის ნამდვილ არსს. იმ ლონისძიებათა მიზანი, რომლებსაც თქვენ გვთავაზობთ, სულაც არ არის ევროპის კავშირის შექმნა. ევროპის ფედერაციის შექმნაც კი. ეს არის მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ჯგუფის შეთანხმება სხვა პოლიტიკური მიმდინარეობებთან ბრძოლისა და მათდამი წინააღმდეგობის გასაწევად. ჩვენ ნამდვილად გვსურს შეექმნათ ერთიანი ევროპა და შევქმნით კიდევაც მას სოციალიზმისათვის ჩვენი ბრძოლის მეოხებით“.

14 ივლისის დღის ღღესასწაული საფრანგეთში

პარიზი, 16 ივლისი. (საკადესი). საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის დღემ 14 ივლისმა საფრანგეთის პროვინციაში მშვიდობისათვის ბრძოლის, აგრესიული ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ჩაიარა. მარსელის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100 ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრაციის მიუძღოდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიინი და ეროვნული კრების დეპუტატი ჟან კრისტოფოლი. მშრომელთა, დემოკრატთა და რესპუბლიკელთა მძლავრი დემონსტრაციები გაიმართა ავრეთვე ქალაქებში ნიმში, არლსა და ლა-სიოტაში. ტულონში, სალერნში, სენ ტროპეზსა და ვარის დეპარტამენტის სხვა ქალაქებში გამართული მშრომელთა მრავალათასიანი დემონსტრაციები მოითხოვდნენ არ მოხდეს ატლანტიკის პაქტის რატიფიკაცია და შეწყდეს ომი ვიეტნამში. ქალაქ ბრიზ-ლა-გაიარდში სახალხო დემონსტრაციამ ჩაიარა ლოზუნგებით „მშვიდობა ვიეტნამს!“, „ირის ატლანტიკის პაქტი!“.

ქალაქ მონსო-ლე-მინში 14 ივლისის დღე დიდი დემონსტრაციით აღინიშნა, ქალაქ ტრუაში, მიუხედავად დაბრკოლებისა პოლიციის მხრივ, შედგა ხალხმრავალი დემონსტრაცია. ქალაქ ბასტიაში (კორსიკა) მშვიდობის დაცვის მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ლორან კასანოვამ.

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის კომუნიკე

ბეიკინი, 16 ივლისი. (საკადესი). როგორც სინხუას საააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალურმა შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ სახალხო-განმათავისუფლებელი ომის სამ წელიწადში გომინდანის ზარალი 5,691.400 კაცს შეადგენს. ამ რიცხვის 60 პროცენტზე მეტს შეადგენენ ტყვეები, 27 პროცენტზე მეტს — მოკლულნი და დაჭრილნი და 12 პროცენტზე მეტს—სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე ნებაყოფლობით გადასული ჯარები.

ომის მესამე წელს, 1948 წლის 1 ივლისიდან 1949 წლის 30 ივნისამდე, გომინდანის ზარალი 3.050.000 კაცს შეადგენს.

ამ სამი წლის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ზარალი 1.432,900 კაცს უდრის, აქედან 86,09 პროცენტს დაჭრილნი და მოკლულნი შეადგენენ, 13 პროცენტზე მეტს—უკვალოდ დაკარგულნი და მხოლოდ 0,73 პროცენტს—ტყვეები.

ივნისის დამლევს განთავისუფლებული რაიონების ტერიტორია 2.962.800 კვადრატულ კილომეტრს, ანუ ჩინეთის მთელი ტერიტორიის 30 პროცენტზე მეტს შეადგენდა. განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობა 279.274 ათას კაცს შეადგენს ანუ ჩინეთის მთელი მოსახლეობის 58 პროცენტზე მეტს.

საუბრებით განთავისუფლებული 17 პროვინცია და კიდევ სამი პროვინციის მეტი წილი.

განთავისუფლებულ რაიონებში 1.061 დიდი და სამაზრო ქალაქია, ანუ ჩინეთის ყველა დიდ და სამაზრო ქალაქთა 52 პროცენტზე მეტი.

განთავისუფლებული რაიონების ტერიტორიაზე რკინიგზების სიგრძე 21.682 კილომეტრს აღწევს, ე. ი. ჩინეთის ყველა რკინიგზის 80 პროცენტზე მეტს. 17.185 კილომეტრზე ანუ განთავისუფლებული რაიონების რკინიგზის 79 პროცენტზე მიმოსვლა დაიწყო.

მდგომარეობა ლონდონის ნავსაყუდარში

ლონდონი, 16 ივლისი. (საკადესი). გაზეთი „დეილი მირორი“ წერს, რომ საგანგებო რწმუნებათა კანონის შესაბამისად ლეიბორისტული მთავრობის მიერ დანიშნულმა ეგრეთ წოდებულმა „ხუთთა საგანგებო კომიტეტმა“ 15 ივლისს განიხილა გაფიცულთა დათხოვნისა და 18 ივლისიდან „მოხალისეთა მუშაობაში ჩაბმის გეგმა ის შემთხვევაში თუ ამ რიცხვამდე მდგომარეობა არ მოგვარდა“.

გაზეთის მიმოქცეველი წერს, გაფიცულნი რომ დათხოვოს, ამისათვის კომიტეტი გააუქმებს დოკებში ამჟამად მოქმედ შრომის ორგანიზაციის სისტემას. ამავე დროს გაფიცულთ გამოუცხადებენ, რომ თუ ისინი გარკვეულ თარიღამდე მუშაობას არ შეუდგებიან, მათ ამორიცხავენ დოკერთა სპეციალურ სიიდან, რომელიც ამ სისტემის თანახმად შედგა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დოკებში მუშაობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ სიაში შეტანილ პირებს.

გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იუწყება, რომ 30 მეზღვაური, რომელიც ინგლისის სატვირთო გემ „ტროუჯენ სტარზე“ მსახურობდა, გემმფლობელთა ფედერაციამ „შავ სიაში“ შეიტანა და, მაშასადამე, გემმფლობელები ფლოტის სამსახურში მათ აღარ მიიღებენ. მეზღვაურებმა მონაწილეობა მიიღეს კანადელ მეზღვაურთა მხარდასაჭერად ბრისტოლში მოწყობილ გაფიცვაში.

გარდა „დეილი მირორის“ და „დეილი ექსპრესისა“, მუქარისა და გაფიცულთა დაშინების კამპანიას სხვა გაზეთებიც ეწევიან, კერძოდ, „ლიბერალური“ „მანჩესტერ გარდიანი“.

1949 წლის პირველ ნახევარში პოლონეთის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები

ვარშავა, 17 ივლისი. (საკადესი). ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიამ გამოაქვეყნა ცნობა 1949 წლის პირველ ნახევარში სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ცნობაში აღნიშნულია, რომ 1949 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი ამოცანები წლის პირველ ნახევარში გადაჭარბებით არის შესრულებული. შრომის ანაზღაურების ახალი სისტემისა და ახალი შრომითი ნორმების შემოღებამ ხელი შეუწყო მუშათა შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდას.

სახელმწიფო მრეწველობამ წლის პირველ ნახევარში 109 პროცენტით შეასრულა პროდუქციის საერთო ღირებულების გეგმა. გამოშვებული პროდუქციის საერთო ღირებულება 24 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის პროდუქციის ღირებულებას. მიღწეული შედეგები იმის საშუალებას იძლევიან, რომ ვადამდე შესრულდეს მიმდინარე წლის ეკონომიური აღდგენის გეგმა.

სახელმწიფო მრეწველობა შეუდგა ისეთი სანქონლის წარმოებას, რაც წინათ პოლონეთში არ მზადდებოდა, და გაფართოვა სატვირთო ავტომანქანების, მოტორების, ლიფტების, ტურბინის ფრთების, ქაღალდის საკეთებელი მანქანების წარმოება, რომლებიც წინათ უმნიშვნელო რაოდენობით მზადდებოდა.

საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით.

საბარათო სისტემის გაუქმებისა და მშრომელთა ხელფასის გადიდების შედეგად მნიშვნელოვნად გაფართოდა როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო საქონლით მაჭრობა.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის წლის პირველ ნახევრის მუშაობის შედეგები

პრაღა, 17 ივლისი. (საკადესი). პრაღაში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის საწარმოო გეგმა ივლისში და როგორი შესრულდა 1949 წლის პირველ ნახევარში. ამ ცნობების თანახმად, ივნისში ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ (ქვების მრეწველობის ჩაუთვლელად) 101,9 პროცენტით შეასრულა საწარმოო გეგმა, ხოლო ქვების მრეწველობამ—112,2 პროცენტით.

წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ მთლიანად 101,9 პროცენტით შეასრულა გეგმა, აქედან სლოვაკიაში ნახევარი წლის გეგმა 105 პროცენტით შესრულდა. მრეწველობის ქვანახშირისა და მადნეულის დარგებმა 100,8 პროცენტით შეასრულეს წარმოების ნახევარი წლის გეგმა, ენერგეტიკის დარგმა—102,2 პროცენტით, მეტალურგიულმა—102,7 პროცენტით, ლითონდამამუშავებელმა—99,8 პროცენტით, ქიმიურმა—102,9 პროცენტით, შუშის—97,7 პროცენტით, საშენი მასალის მრეწველობამ და კერამიკულმა მრეწველობამ—100,5 პროცენტით, ქაღალდის მრეწველობამ—99,6 პროცენტით, ხის დამამუშავებელმა მრეწველობამ — 100 6 პროცენტით, საფეიქრომ და სამკერვალომ—105,7 პროცენტით, ტყავისა და რეზინისამ—103,5 პროცენტით, ქვების მრეწველობამ 112,2 პროცენტით.

ირანის პროგრესულ მოღვაწეებს აპაზიმრებენ

თეირანი, 16 ივლისი. (საკადესი). გაზეთ „ეთელაათის“ ცნობით, დაპატიმრებულია ირანის ხელისუფალთა განკარგულებით დაშლილი სახალხო პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე ქერიმ კეშავარზი. უკანასკნელ დღემდე კეშავარზი მუშაობდა საბჭოთა კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ვიცეთავმჯდომარედ. გარდა ამისა, იუწყებიან, რომ დაპატიმრებულია გაზეთ „რაპპარის“ (უკვე ექვს თვეზე მეტია აღარ გამოდის) რედაქციის ყოფილი მდივანი ინჟინერი ირან მეჰრი. დაპატიმრებულია ავრეთვე სახალხო პარტიის წევრი ზახარიანი.

ბაღთის სიტყვით, დაპატიმრებულნი „დაუყოვნებლივ გადასცეს სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის გამგებლობაში, სადაც სამხედრო პროკურორის განკარგულებით ისინი საპყრობილეში გაგზავნეს“.

მაღგაში დეკუჯაჯებისათვის გამოჯანილი სასიკვდილო განაჩენი გაუქმებულია

პარიზი, 16 ივლისი. (საკადესი). ფრანს პრესის საააგენტომ ცნობა გადმოსცა, რომ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა მალგაშ დეპუტატებს (ეუნძულ მადაგასკარის წარმომადგენელნი) მუდმივი კატორღით შეუცვალოს სასიკვდილო განაჩენი.

როგორც ცნობილია, მადაგასკარზე ორი წლის წინათ მომხდარ სახალხო აჯანყებასთან დაკავშირებით დაიწყო სასამართლო საქმე მადაგასკარის დეპუტატთა წინააღმდეგ. მალგაში დეპუტატებისათვის სასამართლოს მიერ სიკვდილის განაჩენის გამოტანამ საფრანგეთის პროგრესული საზოგადოებრიობის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

სასიკვდილო განაჩენის შეცვლა, უეჭველია, მოხდა საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით.

სტოუნი ამერიკის მთავრობის პოლიციკის შესახებ

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკადესი). გაზეთ „დეილი კომპასის“ მიმომხილველი სტოუნი წერს, რომ პრეზიდენტი ტრუმენი და მისი მთავრობა შეგნებულად უმალავენ ამერიკელ ხალხს სამართლეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიის შედეგთა შესახებ, რადგან ნათლად ითვალისწინებენ, რომ ამ სესიის ობიექტური გაშუქება ძირს გამოუთხრის ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებას და „ხელოვნურად გაღვივებულ ისტერიას—მხარდამჭერთა მობილიზაცია მოახდინონ ცივი ომის საწარმოებლად“.

სტოუნი აღნიშნავს, რომ პარიზს მიმავალმა ამერიკის დელეგაციამ გადაწყვიტა დაეცვა ტაქტიკა: „მიიღოს მხოლოდ ის, რაზეც უარისთქმა არ შეიძლება“, ხოლო შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ ყოველმხრივ დაეცვა ბინათა პარიზის სესიის მიღწევები. ამავამად სწორედ ამე იქცევიან ტრუმენი და სახელმწიფო დეპარტამენტი. ამ ორივე ორგანოს ხელმძღვანელებმა, „ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე“, ეროვნულ ინტერესებად ჩათვალეს ეს ინფორმაციის ბოლამდე დაფარვა. ეს ინფორმაციის ბოლამდე დაფარვა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე